16/12/30-03

ხელშეკრულება

ქ.თბილისი 30 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ **სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ **შპს „404“**, შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ბორის სოსელიას** სახით, ვმოქმედებთ რა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის (5000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვა) შესაბამისად, ვდებთ გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 1.2. პუნქტში აღნიშნული შესყიდვის ობიექტი.

1.2. შესყიდვის ობიექტია **სანტექნიკური სამუშაოები, კერძოდ: სანტექნიკური მოწყობილობების-ონკანის, ნიჟარის, უნიტაზის, დრეკადი მილების, აქსესუარების და ა.შ - შეკეთება/მონტაჟი და ტექნიკური მომსახურება (CPV 4530000)**, კერძოდ:

„მიმწოდებელი“ შეასრულებს ზემოაღნიშნულ სამუშაოებს 2017 წლის განმავლობაში (12 თვე), ყოველთვიურად არაუმეტეს 6 გამოძახებისა, ჯამურად არაუმეტეს 12 საათისა და მიმდინარე წლის (12 თვე) განმავლობაში არაუმეტეს 36 გამოძახებისა, ჯამურად არაუმეტეს 72 საათისა (საათების დამრგვალება მოხდება ნახევარი საათის სიზუსტით, გარდა კონკრეტული შეკვეთის პირველი საათისა, რომელიც დამრგვალდება ერთი საათის სიზუსტით).

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეადგენს არა უმეტეს **2400.00 (ორიათასოთხასი) ლარს** დღგ-ს გათვალისწინებით (დღგ-ს გარეშე 2033.90 ლარი). მომსახურების ყოველთვიური ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს დღგს ჩათვლით. აღნიშნული ფასი მოიცავს სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მარაგ-ნაწილებისა და მასალების, ასევე ტრანსპორტირების ღირებულებასაც იმ შემთხვევაში, თუ მარაგ-ნაწილებისა და მასალების ერთეულის ღირებულება არ აღემატება 25 ლარს.

2.3. ფასი არ შეიცავს სპეცტექნიკისა და მოწყობილობების ტრანსპორტირების ხარჯს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი იქნება მაღალი დონის და ვარგისი იქნება ამ სახის ობიექტის ჩვეულებრივი სარგებლობისთვის.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, სართული 5.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება, თითოეული გამოძახების შემთხვევაში, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველის“ და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით. აქტში მითითებულია შესრულებული სამუშაოსა და გამოყენებული

მასალების დასახელება და ღირებულება. საანგარიშო თვის დასრულების შემდეგ, 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ფორმდება ერთიანი მიღება-ჩაბარების აქტი განვლილი თვის თაობაზე.

5.2. აქტში შეიძლება იყოს მითითებული ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაცია, რომელსაც მხარეები მიიჩნევენ აუცილებლად.

5.3. „შემსყიდველს" აქვს უფლება არ მოაწეროს ხელი მიღება-ჩაბარების აქტს, რა შემთხვევაშიც ის ვალდებულია არაუგვიანეს მე-2 დღისა, „მიმწოდებელს" წერილობით მისწეროს არსებული შენიშვნების შესახებ, ხოლო „მიმწოდებელი", წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა, გამოასწორებს არსებულ შენიშვნებს/ხარვეზებს.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2. მომსახურების ყოველთვიური ღირებულება შეადგენს **200 (ორასი) ლარს** დღგ-ს ჩათვლით. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ყოველთვიურად, საანგარიშო თვის დასრულების შემდეგ, განვლილ საანგარიშო თვეში ფაქტიურად გაწეული მომსახურების თაობაზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, „მიმწოდებლის" მიერ საანგარიშსწორებო/საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „შემსყიდველს" უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. დაუშვას „მიმწოდებელი" შენობაში და შეუქმნას მას შესაბამისი პირობები ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა ჩასატარებლად.

7.2.2. მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.3. დართოს ნება „მიმწოდებელს" უფასოდ ისარგებლოს წყლითა და ელექტროენერგიით, სამუშაოების მსვლელობის განმავლობაში.

7.2.4. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. „მიმწოდებელი" თვითონ განსაზღვრავს მომსახურებას, მომსახურებისათვის საჭირო სპეციალისტების რაოდენობას და სამუშაო გრაფიკს (სამუშაო გრაფიკი შესაძლებელია შედგეს ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზეც).

7.4. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

7.4.1. მოსთხოვოს „შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4.2. აუცილებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულების შესრულების მიზნით, დასახმარებლად მოიწვიოს მესამე პირი.

7.5. „მიმწოდებელი" აძლევს „შემსყიდველს" გარანტიას ჩატარებული სამუშაოების ხარისხსა და მისი რეკომენდაციით ან მისგან შეძენილ საქონელზე (საგარანტიო ვადა მიეთითება მიღება-ჩაბარების აქტში).

7.6. „შემსყიდველის" მიერ მარაგ-ნაწილების მოწოდების შემთხვევაში, „მიმწოდებელი" პასუხს არ აგებს მათ ხარისხსა და გამძლეობაზე, აგრეთვე თუ ნაწილის დაყენება მოხდა „შემსყიდველის" დაჟინებული მოთხოვნით, „მიმწოდებელი" იხსნის ვალდებულებას ჩატარებული სამუშაოს ხარისხზეც.

7.7. „მიმწოდებელი", საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პასუხს აგებს იმ ზიანზე, რომელიც მიადგა „შემსყიდველს" „მიმწოდებლის" ბრალეულობით. კერძოდ, მის მიერ ჩატარებული სამუშაოების დროს და მიზეზით დაზიანდა ან განადგურდა „შემსყიდველის" ან სხვა პირის ინტერესი / ქონება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი გამოწვეულია სტიქიური უბედურებებით, ხანძრით, განზრახ მოქმედებებით, გაუფრთხილებლობით ან არასწორი მოხმარებით და ყველა იმ გარემოებით, რომელიც არ არის გამოწვეული „მიმწოდებელი" ბრალით.

7.8. „მიმწოდებელი" ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოებს განახორციელებს 9: 00- დან 21:00 -მდე.

7.9. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.9.1. უხარისხო შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემთხვევაში, ნაკლი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით.
7.9.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ, ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით, ხოლო ფინანსური ვალდებულებების შესრულების ნაწილში - მათ შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას, მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.
13.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს ოფისის მენეჯერი.
13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ, „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ ს/კ: 205170036 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. #2 ტელ: 240 14 20 საბანკო რეკვიზიტები სს „თიბისი ბანკის“ ვერის ფილიალი ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE76TB7505936030100001 გენერალური დირექტორი ვახტანგ ამბოკაძე ----------	შ.პ.ს „404“ ს.კ 204568663 იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი ანნა პოლიტკოვსკაიას N6 ს/ფ 2ა ტელ : 2404-404/2404-000 საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თი ბი სი“ ბანკი ბანკის კოდი TBCBGE22 ანგ/ა. GE13TB11 57136020100006 დირექტორი ბორის სოსელია ----------